ᲙᲕᲘᲠᲐ 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1916 Წ. ᲤᲐᲡᲘ 12 ᲙᲐᲞ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲝᲚᲝᲦᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ № 6.

ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 26

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲚᲔᲒᲘᲐ

არსად, არც ერთ რედაქციაში ისე მწყობრათ და უჩხუბრათ არ წყდება საჭირბოროტო კითხვები, როგორც ჟურ. „კირკიმალის“ რედაქციაში. აი ამ სურათზე გამოხატულია მთელი სარედაქციო კოლეგია:

მარცხნივ. ბ-ნი თვალი.
—ვალი.
— ალი.
— ლი.

მარჯვნივ. ბ-ნი ილავთ.
—ილავ.
—ილა.

თფილისი 26 ივნისი.

(ამ პირველ მოწინავე წერილს ვუძღვნით დიდებული მგოსნის აკაკის ხსოვნას, რომელსაც ი. იმედაშვილის სიტყვით, ძლიერ უყვარდა ამგვარი მოწინავეები).

გინახავთ თუ არა, დახუთული ცხენი? დიახ, ცხენი! ფეხებს რომ ატყაპუნებს და ნაბიჯი კი ვერ გადაუდგავს. ანუ გუბე, რომელიც ერთ ადგილას ელაყუნება და ორფერი მოძრაობა აქვს,—ჩააგდებ კენჭს წინწკლები აღელდებიან, ქვა ძირს წავა, წყალი ზევით დარჩება.

აი სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მელპომენა. ის დახუთულ ცხენივითა სდგას და ჩააგდებ თუ არა შიგ კენჭს წინწკლები აღელდებიან, ისევ დაწყნარდება, ფეხი ვერსად გადუდგავს.

დგომა—ცდომაა! უკვე ზაფხული ზაფხულობს და მელპომენა სდუმს, მისი ქურუმნი დახუთულ გუბესავით ერთ ალაგას ფეხებს ატყაპუნებენ, ერთნაირად უმოძრაონი, უგულგრილონი.

მართალია ჩვენს მელპომენას საკუთარი ტაძარი არა აქვს, ნავთსაყუდარს მოკლებულია, არა აქვს შინაგანი და გარეგანი სიცხოველე, მაჯის ძლიერი ცემა, ცხოველი ნაფიქრევი და ნააზრევი, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე, უგერგილობა.

უკვე ზაფხული დგას. დგომა—ცდომაა! რას შვებიან ჩვენი მელპომენის მსახურნი და ქურუმთ მთავარნი? ნუ თუ ისინი კვლავინდებურად გამოიჩენენ სამოქმედო ენერგიას და ნაბიჯს გადადგავენ, თუ განაგრძობენ რაც გუშინ იყო ხვალაც იგივეს.

დგომა—ცდომაა, ბატონებო.

ინდოურის ბრალია!

მხნე და ჭარმაგი, ახალგაზრდური სიხალისით ეჯდა ალექსანდრ ივანიჩი თავის მაგიდას ქალაქის სამმართველოს კაბინეტში. მრავალი წლის დაუღალავ მოღვაწეობას წარსულში, და 11 საათისას ამ უკანასკნელ დღეს, ოდნავაც არ მოექანცა მისი მოძრავი ხასიათი. მხიარულობა უკრთოდა სახეზე და იმედის თვალით გასცქეროდა მომავალს.

— რაკ, რაკ, რაკ! გაისმა კარებთან მორიდებული რაკუნი.

— შემობრძანდით!

კარები მოკრძალებით გაიღო. კაბინეტში ოთხი სტუდენტი შემოვიდა. გარეგნობით ეტყობოდა, ოთხი ეროვნების წარმომადგენელნი იყვენ.

— რითი შემიძლია გემსახურო ოთ?

— ჩვენი ინსტიტუტი უმორჩილესადა გთხოვთ, ხვალ ლექცია წაიკითხოთ ჰიგიენაზე.

— ეგ რომელი ინსტიტუტია?

— სამთო-საინჟენერო ჩულურეთისა.

— აჰაა! ძალიან კარგი, მაგრამ ხვალ მხოლოდ ერთი საათი მაქვს თავისუფალი: ათიდან თერთმეტამდე. დილით ვკითხულობ ნავთლუღის პოლიტეხნიკუმში, შემდეგ საექიმო აკადემიაში წყნეთის ქუჩაზე. თერთმეტიდან თორმეტამდე დიდუბის სამეურნეო ინსტიტუტს შევპირდი; თორმეტიდან სამ საათამდე....

— წკრრრ... წკრრრრ... წკრრრ... დაიწკრიალა ტელეფონმა და ალ. ივანიჩმა ლაპარაკი შესწყვიტა.

— დიახ, ქალაქის მოურავი გელაპარაკებათ... აჰა... სთხოვეთ ჩემ მაგიერ დაწყნარდენ... მე თამბაში ვთქვი, რომ ნაძალადევში უნივერსიტეტი მოუსვენარი იქნება მეთქი... პოლიცია... ოო... არა, არა! ძალიან კარგი... ეხლავ გაახლებთ კომისიას... მშვიდობით.

— ამგვარათ მე შემიძლია თქვენს ინსტიტუტს ხვალ მხოლოდ ერთი საათი შევსწირო, ალერსიანი კილოთი მიუბრუნდა მოურავი სტუდენტებს.

— გმადლობთ.

სტუდენტები გავიდენ.

კაბინეთში შემოდის მდივანი მოურავისა დარჩო პანჩო, პორთფელით და იქვე სავარძელში ეშვება.

— გუშინდელი დღე რაღაც უჩვეულო დღე გამოერია,—დინჯათ დაიწყო მდივანმა.

— რა მოხდა ასეთი? ჩვენი ცხოვრება ისეთს სასურველ კალაპოტშია ჩავარდნილი, რომ მოლოდინი რაიმე ხიფათისა განდევნილია.

— წუხელ კოჯორიდან მომავალი მატარებელი ოქროყანის ზემოთ დაეჯახა ხბოსა და გასრისა.

— როგორ? ვინ გაუშო ეგრე უპატრონოთ ხბო? საჭიროა პატრონს გაუფრთხილებლობისათვის ჯარიმა გადახდეს და სამართლიანობისათვის ზარალიც ეზღოს. უბედურობის ადგილს დეზინფექცია გაუკეთდეს, რომ რაიმე მავნე ბაცილამ ფეხი არ მოიკიდოს.

— ეგ ყველაფერი უკვე ასრულებულია. სპე-

ციალისტების აზრით ორთქლმავალის კვამლი ძლიერ ვნებს მთაწმინოის პარკში ძვირფას ხეებს და მოითხოვენ მატარებელთა მოძრაობა ელექტრონის ძალით სწარმოებდეს.

— მოვახსენებ ქალაქის საბჭოს.

— აი ეს ქალალდი კონსერვატორიის დირექტორისა გახლავთ. გთხოვს ხვალ დაესწროთ წლიურ აქტს, სადაც კურს დამთავრებულთ დაფნის გვირგვინებით დააჯილდოებენ.

— ხვალ დრო არა მაქვს!

— როგორმე უნდა მოახერხოთ. ავლაბრის სასულიერო აკადემიის რექტორს მე თითონ ვუთხარი თქვენს მაგიერ უარი.

— კარგი გიქნია.

— ეს იმიტომ ვქენი, რომ თქვენ აუცილებლათ უნდა დაესწრათ დიდუბის ტბაზე ნავებით შეჯიბრებას. საღამოსთვის არის დანიშნული. ეს ტბა მართლაც მშვენებაა ჩვენი ქალაქისა. მართალია, ქალაქს მისი მოწყობა თითქმის ორი მილიონი დაუჯდა, მაგრამ სარგებლობა მალე აანაზღაურებს დანახარჯს.

— სასიამოვნოა. ფიზიკურ ჯანმრთელობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის. ვეცდები დავესწრა.

— წუხელ ზოოლოგიურ ბაღში კინაღამ მარცხი მომხდარა. ვიღაც სოფლელ ბავშვს სპილოსთვის ერთი კოლოფი ბურნუთი მიუცია. სპილო გაცოფებულა და დიდი არევ-დარევის შემდეგ დაუწყნარებიათ.

— ახ ეს სოფელი, სოფელი!

— უნდა ვეცადოთ როგორმე სოფელშიაც განათლება შევიდეს. ქართლში ექვსი სოფელი აღმოჩნდა, სადაც არა თუ ინსტიტუტი, უბრალო გიმნაზიაც არა ყოფილა.

— გუშინ გადაწყდა ქ. გორამდე მეხუთე ლიანდაგის გაყვანა. გზა პირველი ფაქტორია, სისუფთავის შემდეგ, ხალხის ჯანმრთელობისათვის.

— ქუჩების მრეცხავი მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვენ. დღე და ღამეში ერთხელ საპნითა და ჩოთქებით რეცხენ თითქმის ყველა ქუჩებს, მეორეჯერ მარტო წყლით.

— ჰო მართლა, არ დამავიწყდეს: წყლის გამოკვლევამ რა აღმოაჩინა?

— აბსოლიუტურათ წმინდა წყალი ვერ მოვიყვანეთ. ეს მაშინაც არ იყო, როცა მცხოვრებნი წყალში ფულს იხდიდენ. გამოკვლევამ აღმოაჩინა, ვედრო წყალში ერთი მეათედი ნამცეცი რაღაც უცნობი ბაქტერიისა.

— სთხოვეთ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის გამგეს, გამოიკვლიოს ამ ბაქტერიის ხასიათი.

— ორთაჭალის მებაღეთა სინდიკატი დაჟინებით მოითხოვს გემთა მიმოსვლა დიდუბესა და ავჭალასთან უფრო რეგულიარულათ მოეწყოს. ეს საკითხი მჭიდროთ დაკავშირებულია სანოვაგის მოწესრიგების საკითხთან და სიჩქარეს ითხოვს.

— დღესვე დანიშნე სანაოსნო, ფინანსიური, იურიდიული და ტეხნიკური კომისიების შეერთებული სხდომა. კაპიტანთაც დაუძახეთ.

— „ღრმა ღელის“ ქუჩა ერთად ერთი დარჩა, რომელსაც ტრამვაი არ ჩაუდის. მცხოვრებნი დიდ გასაჭირს განიცდიან. დეპუტაცია გახლდათ. მოითხოვენ გაყვანილ იქმნას შტო.

— ასეთი უბრალო საკითხი, პირდაპირ კომისიას გადაეცი. დაუკვეთონ კრწანისის ქარხნებს რელსები, ვაგონები და გაიყვანონ გზა.

— ფასი ბილეთისა?

— ფასი ჩვეულებრივი, ერთი კაპიკი. მე მახსოვს, როცა მიხაილოვის ქუჩის კუთხიდან პიროგოვის ქუჩით ძველ სადგურამდე ბილეთი შაური ღირდა.

— ნუ თუ ეს მართალია?!

უარესი დროც მახსოვს. სანოვაგის სიძვირე უკიდურეს წერტილამდე იყო მისული. ჰო, მართლა, რა ნიხრია დაწესებული მომავალი კვირისათვის?

— მცირედი ცვლილებით: 1) პური პირველი ხარისხისა 2 გირ. 3 კაპეიკი. 2) ხორცი ოყა 8 კაპიკი. 3) შაქარი 2 გირ. 11 კაპ. 4) ყველი ოყა 10 კაპ. 5) ერბო ოყა 40 კაპ. 6) ნავთი (ხმაროობენ მხოლოდ სამზარეულოსათვის) გირ. 1 კაპ. 7) თევზი (ზუთხი და კალმახი) ოყა 17 კაპ. 8) ქათამი 13—25 კაპ. 9) გოჭი 75 კაპ. 10) ინდაური 57 კაპ. გასულ კვირაში, როგორც გემახსოვრებათ 54 კაპ. ღირდა.

— როგორ? ეგ ხომ სპეკულიაციაა! რას იტყვის ამაზე ისაი მარკოვიჩი?! ეს შეუძლებელია! სამი კაპეიკის ერთბაშათ მომატება. ეხლავ წაიღე ბ-ნ შაშკოვსკისთან ეს წერილი...

ალექსანდრ ივანიჩმა მძლავრად გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა და თვალებში მზის სინათლე მოხვდა.

— უჰ, მეცხრე საათია! უკმაყოფილოთ ჩაილაპარაკა მან და სწრაფათ წამოდგა.

ვანნასა და პირისაბანში წყალი არ აღმოჩნდა. მზარეულს პური ვერ ეშოვნა და მოურავი იძულებული გახდა სამსახურში პირდაუბანელი და უჩაიო წასულიყო. გზაში მან მოიგონა დილის მშვენიერი სიზმარი და მწუხარეთ ჩაილაპარაკა.

— იმ ოხერმა ინდოურმა დამღუპა, ინდოურმა!

ეშმაკი.

მესტვირული

(სახუმისათვის და აგრეთვე ადგილთა ეროვნულთათვის).

ისევ ამიტყდა მესტვირეს მუზა,
ეგ შეჩვეული უჭირო ჭირი,
რა ვქნა, ღმერთმანი, გუდა აივსო
და თავისთავად ამღერდა სტვირი.
მოდი და შენც ზედ ნუ დაამღერებ,
როცა ის ჰანგებს თვით გიკარნახებს:
კილოს კილოზე მოავარაყებს,
და როგორც წკირა, გულის ძაფს ახებს.
არა, დუმილი აქ აღარ ძალმიძს,
ქამანჩამ გუდას მოუხსნა თავი.
შორს ხელმწიფება! ეხლა ამ წუთში
მისი მონა ვარ მე საცოდავი...

—

საქმეს შევუდგეთ. უნდა შევამკო
ზოგ ზოგი პირი, როგორც წესია,
რომ მოვამკიო ის უცილობლათ,
რაც მას უტყუვრად დაუთესია.
მართალი არის, ხოტბანი ჩემნი
კვლავ შაირულად უნდა მოვძახო,
მაგრამ შაირიც ხომ სარკე არის,
შიგ სახე შენი რომ დაინახო.

—

აი ეს პირი, ანუ ეს გმირი,
„პარტიის“ კაცი, „სან-ფარი“ სრული,
ინტელიგენტურ დემოკრატიულ
ნამდვილი მუშა შტრეიკბრეხრული.
ცნობილი თავის ლაწვთა სიმაგრით
და შუბლის ძარღვით ელასტიურით,
ღამით „ქალალდით მკითხაობითა“
და ძვლის ჩხაკუნით ყოველდღიურით.
სხვისი ზნეობის ზე კრიტიკოსი
და ლექციურად ზედ მობაასე,
თვით კი ზნეობის სამფლობელოში
როგორც მანასე: ისე, ხან ასე.
მოსწონს მას თავი გამარჯვებული
და თვისი „ჭრელი მებრძოლი ფარა“,
მაგრამ ზიზღს იწვევს თვისიანებშიც
ეს პარტიული ტაკი მასხარა!

—

აგერ ეს კაცი, ანუ ეს ქალი
ამაყი, როგორც იალბუზია,
სხვა, თუგინდ იყვეს ღირსებით სავსეც,
მასთან, მითხარით ვინ რა ბუზია?
მხოლოთ მას შვენის პატივისცემა,
არ ჩევნებშიაც თეთრი კენჭები.
რისთვის? საბუთი თვალსაჩინოა:
სიმაღლე, სიმსხვე, ფართე ბეჭები...
თუ ეს არ კმარა, აზნაურია,
თავადიც, თუ გსურთ, ვაჭარიც დიდი.
„უყვარს“ სამშობლო, მას ქეც გაჰყიდის,
თუ სხვა არ შერჩა რამ გასაყიდი.
მერე რა? აქ ხომ ყიდვა-გაყიდვის
დაცულ იქნება ეგრალო წესი.
მას „ძმობის დროშაც„ ხელში უპყრია,
როგორც დაბალი ხალხის ანკესი.

ეგ მიტომ, რომ ის მეთევზეც არის
და ხელოვნურად ამმღვრევი წყლისა,
რადგან ეს მისი სახსარი არის
თავის გზტანის წლისაგან წლისა.
მაგრამ დროება დარაჯი არის
ასეთი ჯურის ფარისეველთა
და მათი ტიტვლად გამზეურების
საქმე მომავალს უპყრია ხელთა!..

—

აი ეს „გეოც“ მღერის და მღერის
და მას თვით-მოსწონს თავისი კილო
თუმც სხვების აზრით მისი სიმღერა
სასაცილოა და სათაკილო.
„გეო, გაჩუმდი!“ ეუბნებიან,
„თუ შენცა გესმის ის, რასაც მღერი“...
გეო კი აბა რის გეო არის,
რომ ამ შენიშვნამ უცვალოს ფერი.
მღერის და მღერის გეო ურჯულო,
მას თითონ მოსწონს თვისი სიმღერა
და ყურადღებას კი აღარ აქცევს,
აგერ მე გუდა რომ გამიბერა...

—

ასეთი არის მესტვირის ბედი:
გუდის მეუფე, მონაა გუდის,
სხვებს კი ჰგონიათ, რომ მესტვირულში
ის გამრჩევია კარგის და ცუდის.
ტყუილი! მხოლოთ როდესაც გუდა
ჩემი სხვებისგან გაიბერების,
ნუ თუ იმავ დროს არ მქონდეს ნება
ჩემსავე სტვირზე მე დამღერების!..

ონისიმე.

„ქალაქი შიმშილეთი“.

(სახუმარო ტრადი-კომედია ერთ სურათად)

მომქმედნი პირნი: ქ. შიმშილეთის მოქალაქენი.

(მოქმედება სწარმოებს ქ. შიმშილეთის ქუჩაზე).

I

(ფარდის ახდისას სცენა ღამის ბურუსშია გახვეული. არაფერი მოსჩანს. სამარისებური სიჩუმეა; მხოლოდ ხანდისხან ამ სიჩუმეს ძილში მყოფი ადამიანის ამოოხვრა ან და ხვრინვა დაარღვევს. გაივლის ცოტა ხანი და სცენაზე ოდნავ ინათებს, განთიადი ნელ-ნელა ახლოვდება, ბურუსი იცრიცება იფანტება და ბოლოს მსმენელს გარკვევით წარმოუდგება თვალ-წინ ქ. შიმშილეთის საკმაოდ ფართე და მოგრძო ქუჩა. ქუჩა იწყება სცენის მარცხნივ, გადის მთელ სცენაზე და იკარგება ქალაქის მაღალ შენობებში და სახლებში. ქუჩის თავში, სადაც მას უერთდება მეორე ვიწრო ქუჩა, რომლის მხოლოდ პაწია ნაწილი მოსჩანს სცენიდან, გაშენებულია პატარა დაბალი სავაჭრო რომლის განცხადებაზე შემდეგი წარწერაა: „Городская потребительная лавка“. ქუჩის ერთ მხარეზე რიგ-რიგობით ჩამწკრივებულია ხალხი, რიგი იწყება სავაჭროს დახურულ კართან, მიყვება გასწვრივ ქუჩას და იკარგება მის სიღრმეში. ეტყობა ხალხი დიდი ხნიდან არის რიგში ჩამდგარი, რადგან ზოგს თან სკამი მოუტანია, ზედ ჩამომჯდარა და რაღაც ფიქრს მისცემია, ზოგს კი ტახტიც წამოუღია, გაუხდელათ ზედ წამოწოლილა და უშფოთველათ ხვრინავს, ზოგიც ფეხზე დგას ან და ზედ ქუჩაზე გალართხულია და პაპიროზს ეწევა, ყველას თითო კალათი ან ხელში უჭირავს ან გვერდზე აქვს მოდებული, სახეზე ყველას მოუთმენლობა ეტყობა, მათი თვალები ხშირათ მიიმართება სავაჭროს დახურულ კარებისკენ. სინათლესთან ერთად სცენაზე მატულობს ხალხის ამოძრავებაც. ისმის გაურკვეველი ლაპარაკი და გუგუნი. ამავე დროს მარცხნივ, ვიწრო ქუჩაზე გამოჩნდება რამოდენიმე მომავალი მოქალაქე. ერთი მათგანი ძლივს მობარბაცებს, ხელს ხან მუცელზე იტაცებს და ხან თავზე, დანარჩენი თავჩაღუნული მოდის და თან რაღაცაზე მოლაპარაკობენ. მათ უკან მოსდევს შუა ხნის დედაკაცი, ეტყობა მრეცხავია, კაბა დაკარწახებული აქვს, ხელები წამკლავებული, თითქოს ეს არის ეხლა მიუტოვებია სარეცხის რეცხვაო).

გამოსულა პირველი.

პირველი მოქალაქე. (ბარბაცით და თავზე ხელის მოკერით).

თავი გიბრუის, სული მიწუხს;
გული მერევა;
ძლივსლა დავდივარ, დავბარბაცებ,
სიცხე მერევა;
ყურში მომესმის განუწყვეტლივ
ერიალ-წივილი,—
ღმცხვარმა პურმა ამიტეხა
კუჭის ტკივილი.

(ხელს კუჭთან მიიდებს და სახე დაეღრიჯება).

ოჰ, სად წავიდე, ვის მივმართო
დასახმარებლათ,
საშინელ სენის გასაქრობათ
გასაქარვებლათ...

მეორე მოქალაქე. (გააწყვეტინებს)
ეჰ, აზვიადებ, ძმაო ჩემო,
მაგ შენს გასაჭირს!
ერთი მითხარი კუჭის ტკენით
აბა რა გიჭირს!
მისი მორჩენა მე თუ მკითხავ,
არც თუ ძნელია,
მას მოუხდება ერთი ჭიქა
ჩაი ცხელია...
შენ ჩემი მკითხე, ჩემი ბოღმა
და იარები
ორი თვე არის ბაზარ-ბაზარ
დავიარები...
ხან კი გავრბივარ, როგორც გიჟი,
როგორც აფთარი,
რომ არ დამასწრონ, დროზე დავრჩე
რიგში ჩამდგარი...
... მაგრამ... ეჰ მაინც ვერ ვიშოვე
კენჭი შაქარი!!!
(სიბრაზისაგან ტანში მივლის
კვანჩხისა ქარი!).
უშაქროთ რაა ჩემი ყოფა,
ჩემი ცხოვრება,
თუ არა ტანჯვა, მუდამ ძრწოლა
და მწუხარება!
უმისოდ ჩაი, რაც გინდ უყო,
მაინც მწარეა
გინდ ცივი იყოს, გინდ ნელ-თფილი,
გინდ მდულარეა!..
ელს უიმედოთ ჩაიქნევს, შეჩერდება და ღრმათ
ფიქრდება, მასთან ერთად შეჩერდებიან დანარჩენი
მოქალაქენიც).

ირველი მოქალაქე (უკმაყოფილოთ).
რათ ფიქრობ, ძმაო, რომ ეს ბედი
მარტო შენა გჭირს
და სხვას სრულებით შაქრის შოვნა
აღარც კი უჭირს?
მე მის ძებნაში უფრო ზედ-მეტ
ტანჯვას განვიცდი,
თითო დუქნის წინ, თითო კვირას
ვზივარ და ვიცდი.
ეჰ, მასზე ფიქრი, მისთვის ძრწოლა,
გაწიწმატება,
ჩემს კუჭის ტკივილს ერთი-ორათ
ზედ ემატება!

მეორე მოქალაქე (ფიქრისგან გამოირკვევა, თავს ზევით ასწევს, ხელს ჰაერში გააშვერს თითქოს ვიღაცას ელაპარაკებაო).
ჰოი, შაქარო! ვინ მომტაცა
მე შენი თავი!
ვინ ჩაიდინა საქმე იგი
საზიზღი ავი!
რომელ მექარხნემ, რომელ ჩარჩმა,
რომელ ვაჭარმა,
ღვთისგან წყეულმა, ცოდვით სავსემ
და აბეზარმა!..
ან სად დაგმალეს, სად ჩაგკეტეს
რომელ სარდაფში,
რომელ მიუვალ, მიუდგომელ
ციხე დარბაზში!...
ოჰ, გევედრები, ჩემო ყველავ,
სულზე უტკბესო;
ყველა საგანთა მეფეთ-მეფევ
და უკეთესო,
მარქვი ჭირიმე, სად ხარ ერთი
ხმაი გამეცი,
თორემ ძებნაში გზა დავკარგე
სულით დავეცი!
(ხელებს დაუშვებს და ვედრების თვალებით გასცქერის ცის სივრცეს).

მესამე მოქალაქე (ამოიოხრებს)
ასეთ გასაჭირს დიდი ხანია
მე შევეჩვიე,
კუჭიც წამიხდა, ჩაის სმასაც
გადავეჩვიე!
მე დღეს მაკვირვებს მხოლოდ ერთი
ჩვენი ამბავი,
(ვერ გავარკვიე თუმცა დიდხანს
ვიმტვრიე თავი)
თქვენც მგონი იცით ამას წინათ
მოხდა თათბირი,
რომ აღმოეფხვრა ხალხის ტანჯვა
და გასაჭირი.
მისსა შემყურეს სწორედ გითხრა
რწმენა მომეცა,
რომ ამის შემდეგ გვექნებოდა

ერბოც და რძეცა...
... მაგრამ გათავდა ის თათბირი
მშვიდი და წყნარი,
და რწმენაც გაქრა როგორც ტკბილი
ღამის სიზმარ!..
მაშ რათ იწვევდენ ტყვილად თათბირს
იმ საერობოს
თუ არ მოგვცემდენ პურზე საცხებს
კარაქს და ერბოს???

მეოთხე მოქალაქე (აღელვებით)
ჭირს წაულია თქვენი ერბო
თქვენი შაქარი
ჩემთვის ის მაინც მარტოოდენ
ოცნება არი!
მე ვიქნებოდი მხიარული
და ბედნიერი
რომ აღმეჩინა სადმე ერთი
ყველის ნაჭერი.

(მრეცხავი დედაკაცი ყურს უგდებს მათ ლაპარაკს და სახეზე უკმაყოფილება ეხატება).

მრეცხავი ქალი (თავისთვის).
ლაფი დაგასხი ყველას ემაგ
ქეციან თავზე!
აბა თუ დასძრან ერთი ენა
სხვა რამ საგანზე
სულ მუდამ კუჭი, მუდამ ჭამა
გაუმაძღრობა,
აი რა ახსოვთ და რაზე აქვთ
მათ მუდამ ბჭობა!
მე კი საწყალსა ჩემს ყოფნასა
და სიცოცხლეში
სხვა რამ საჭმელი არ მინახავს
ჩემს თავის დღეში,
გარდა აღლვრეულ ცივი წყალის
და ხმელი პურის
ისიც ხან ცომის, ხან დამწვარის
და დახრუკულის.
მაგრამ არაფრათ მივიმჩნევდი
ტანჯვას ამდონსა
რომ ვიშოვიდე სადმე მაინც
ოყა საპონსა.

(ქაქანით გადის საჩქაროთ).

მეხუთე მოქალაქე.
გული გამიტყდა, არას ვამბობ,
ვარ ჩემთვის ჩუმა...
მაგრამ თუ რამეს წაგვადგება
კიდევ ეს დუმა.
ხომ ხედავთ გვიხსნის აგერ-ეგერ
ფურნებს ლავკებსა,
ალარ დაგვაკლებს აწი შაქარს,
პურს, ბუბლიკებსა...

მეორე მოქალაქე. (ცის სივრცეს თვალს მოაშორებს და უნებლიეთ მიიხედავს ჩამწკრივებულ რიგისაკენ. რომელსაც აქამდე ვერ ამჩნევდა, და აღელვებით მიმართავს დანარჩენებს).
თავი ვანებოთ ამ ლაყბობას
დრო არის, კმარა,
ხომ ხედავთ ხალხი „ოჩერედში"
როგორ ჩამდგარა
ჩქარა გავიქცეთ, დავიკავოთ
სადმე ადგილი,
თორემ ეს არის დაგვეკარგა
შაქარი, ფქვილი!

(ამ სიტყვებზე ყველა აღელვებით მიაშტერდება ჩამწკრივებულ რიგს, ერთი საზარელი „ვაა" აღმოხდებათ გულიდან და გაექანებიან რიგში ჩასადგომათ.

მზე თანდათან ზევით იწევს და თავში უცხუნებს ხალხს, რიგში მდგომნი უკმაყოფილებას აცხადებენ „რათ არ აღებენ ამდენ ხანს დუქანს" მოისმის აქა იქ. ბოლოს გაიღება სავაჭროც. ამის დანახვაზე ზოგი ტოვებს თავის ადგილს და პირდაპირ დუქნისაკენ მიდის, მაგრამ მათ აკავებს პოლიციელნი. ორიოდე ბედნიერი მოქალაქე ასწრებს სავაჭროში შესვლას და საქონლის წამოღებას. მაგრამ გაივლის რამოდენიმე წამი, სავაჭროს კრებში გამოჩნდება საშვალო ტანის ჩასუქებული ადამიანი და ხალხს გადასძახებს:

„ბატონებო ვინაიდან საქონელი ალარ ათავდა, ამით გიცხადებთ რო ის უკვე...უკვე გათავდა!"

ხალხი ამ სიტყვებზე ერთხანს გაქვავდება, შემდეგ ისევ ამოძვავდება, გაისმის საშინელი პროტესტი, ყველანი შემოერტყმიან სავაჭროს. აღელვება თანდათან მატულობს).

(ფარდა კი ნელ-ნელა ეშვება)

პოდბიპენტა.

გენერალური სმოტრი

შუა ღამისას, ოდეს მთოვარე,
სახე მიმქრალი და მგლოვიარე,
მახათის მთიდან ჩაუჭიტინებს
სიბნელით მოცულ თფილისის ბინებს,
იქ **ფრონტი** ხვდება მოქალაქეთა...
Родъ оружія: „მოკალათეთა“.
ისინი სდგანან დღიან ღამიან,
მტვერით და ჭვარტლით დაინამიან...

მარცხენა წვეროფ იმათი წყების,
(ხელზე მსახურნი ყველა უწყების)
„შაქრისა დუქანს“ დაემყარება,
სად ლხინი სუფევს და ნეტარება.
ფრონტის გარღვევა ამ „ციხის“ პირად
მსხვერპლსა მოითხოვს დიდს შესაწირად.

და აი, როცა კვლავ იშუადამა
ფრონტს მოევლინა ქალაქის „მამა“,
ჯარი გამხნევდა, ამაღლდა სული,
და ქუჩა იგი ბნელით მოცული
კვლავ ახმაურდა, კვალად გუგუნებს...
(მოურავს წესრიგს ვინ დაუწუნებს?!!)

— Здорово братцы! გაისმა ჭექა,
ლაშქარმა ყური გამოიქექა,
და უპასუხებს ერთგული ჯარი:
— Зрави жилаимъ кусокъ шакари!

ეშმაკი.

(სიმპლიციმუსიდან)

ექიმი. კუპში ყველის ნამცეცი აღმოჩნდა. საკვირველია, თუ ასეთი მდიდარი იყო თავს რისთვის იხრჩობდა?

ქუდი და თავი.

ჯოჯოხეთისა
გამგე ეშმაკო!
ნება მომეცი
ვილაპარაკო.
მწადის გაუწყო
მცირე ამბავი,
მით შევაფასო
ქუდი და თავი.
დამეთანხმები,
არ არის ცუდი
როგორა ფასობს
თავი, ან ქუდი.
ზოგი თავია
ღირს მთელ ქვეყანათ
და ზოგი ქუდი
ას თავისთანათ.

ხომ ხედავ, რა ჰქნა
ომის ხანამ?
ზღვა და ხმელეთი
სისხლით დანამ.
მის მეოხებით
თითქმის სუყველა,
ევროპისაკენ
მიდის ნელ-ნელა.
ქუდებით ბაძვენ
ევროპიელებს,
მაშ გაუმარჯოს
ისევ მთიელებს...
შეხედავ, მოდის
აგერ ბატონი,
მეტად ზვიადი
და თავ მამწონი.
ქვეყნის მხსნელს უგავს
მას თავის კანი
მიტომაც ხურავს
მთელი ბატკანი.

ამას გასცდები
ცოტას მანამ,
მეორეს ნახავ,
ხურავს პანამა
შეხედულობით
კაცთა სწორია
იტყვით: ნამდვილი
პროფესორია!
ამისგან ელის
ქვეყანა ხსნასა...
ფრთხილად იყავი,
ნუ გასცემ ხმასა.
მესამეს ხურავს
შლაპა ჭინჭისა,
მაჩვენებელი
დიდი ნიჭისა.
უცნაურია,
ოთხ ნაჭრიანი,
შიგ რომ თავი ძევს
გოგრა ჭკვიანი,
როგორც ვუყურებ
ესეც კარგია
ქვეყნის ჭირ-ვარამს
შლაპით არგია.
ნაბე სიჩქარით
რომ მობრძანდება
საქმეზედ მიდის
უგვიანდება
ქუდზე მიუკრავს
ორი კაკარდა...
(ქუდის დაჩხვლეტა
რათ არ დაზარდა?)
არ დავიყვირებ,
გეტყვი ყურშია:
ნასწავლი არის
სამსახურშია.
ქრთამებს არ იღებს
მით გულ ჩვილია,
ღმერთმა აჩუქოს
ვისიც შვილია.
შეხე მეხუთეს,
ხმალი ჰკიდია...
ეპოლეტებით...
კაცი დიდია...
გუშინ თუმც იყო
იგი ავარა,
დღეს შუბლი, მხრები,
მოიჯავარა.
ნუ თუ აჯობებს
ეგ სულყველასა?
იმისგან ველით
დახსნას, შველასა...
ამისთანები
სხვაც მრავალია
თავიც და ქუდიც
შესაბრალია.

ან. განჯისკარელი.

სტატისტიკა.

თანახმად რედაქციის დავალებისა, დავიარე ნაწილი ჩვენი სამშობლოსი—გორის მაზრა, რათა გამომერკვია სტატისტიკური ცნობებით შემდეგი საკითხი: „რა გავლენა იქონია მიმდინარე ომმა ქალების გათხოვებაზე?“

დავიარე თითქმის ყველა სოფელი გორის მაზრასა, და გიზიარებთ იქ შეკრებილ ცნობებს.

პირველ ყოვლისა ვესტუმრე ქალაქ გორს. სადგურზე ჩამოხტომისთანავე დავრწმუნდი, რომ საქმე ცუდათ იყო. მთელი გორის სადგური მოქედილი იყო ლამაზი სქესით ანუ „პოლით“ და ისმოდა მათი მწარე მოთქმა:

გათხოვება გვი-ი-ი-ნდა...
გათხოვება გვი-ი-ი-ნდა...

დავეკითხე ერთ-ერთ ჩემს მეგობარს:

— კაცო, რა ამბავია ეს? ჩვენს დალოცვილ თფილისში ამისთანა სურათი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

— ეჰ, ძმაო, თქვენი თფილისი მართლა დალოცვილი ქალაქია. აქ კი... ეჰ, რა ბევრი გელაპარაკო! ხუთი „ზაკონნი“ ცოლი მყავს და რვაც „უზაკონო“.

— მერე, რა არის ამის მიზეზი?

— რა და ის, რომ ყველა ომში გარბის გაფაციცებული. ვინც აქ რჩება კი—ვაი მისი ბრალი! რამდენი ვეხვეწე, რომ იცოდე, „ნაჩალნიკს“: გამგზავნეთ, ბატონო ომში“. —„არა, არ შეიძლება, ფილტვები სუტი გაქვსო“.

ბევრი აღარ დავაყონე ხელათ შევბრუნდი ვაგონში, შევედი საპირფარეშოში, გადავიცვი

ქალის ტანსაცმელი და გამოველ. მადლობა ღმერთს, რომ წვერ-ულვაშს ვიპარსავ, თორემ ცუდათ წავიდოდა ჩემი საქმე...

ორი დღე დავჩი გორში და შემდეგი ცნობები შევკრიბე:

გასათხოვარ ქალთა რაოდენობა უდრის 3000. მათი წლოვანობა ასეთია:

17—20	წლ.	. . .	1000	სული.
20—25	„	. . .	800	„
25—30	„	. . .	700	„
30—40	„	. . .	300	„
40—45	„	. . .	150	„
45—50	„	. . .	50	„
ჯამი		.	3000	სული.

ამათ რიცხვში ხუთასი მეტათ ლამაზია, ორი ათასი შუათანა სილამაზისა და დანარჩენი ხუთასიც გონჯი. მზითევი ყველას ბლომათ აქვს, რაც აიხსნება გორელ მცხოვრებთა მატერიალურ უზრუნველ ყოფით. აქაურ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანს“ გაუნებებია თავი წევრთა შორის უთანხმოებისა და ჩხუბისათვის და განუზრახავს დააარსოს რამოდენიმე ათეული საქორწინო კასა. საქმეების საწარმოებლად დღე-დღეზე ელიან ამ საქმის კარგ მცოდნეს, ივ. როსტომაშვილს. საჭიროა აგრეთვე მათთვის გამოცდილი მაჭანკალი*).

გორის გარშემო სოფლებში საერთო რიცხვი გასათხოვართა უდრის 20000-ს, ამათში უმეტესი ნაწილი ახალგაზრდანი არიან, მხოლოდ მზითევი კი მეტ ნაწილს ძლიერ ცოტა აქვს. ზოგს სრულებითაც არაფერი არ გააჩნია. ცხინვალში და მის მიდამოებში შედარებით უფრო ცოტა გასათხოვარი ქალებია: სულ რაღაც 2000. ამათში სულ ყველა ლამაზებია, ჯან-ღონით სავსე, ახალგაზრდა და მზითვიანი. მარტო, რაც ოსურ ყველს გამოატანებენ თითო მათგანს, იგი ღირს ფასათ! (ნუ გაგავიწყდებათ, რომ თფილისში გირვანქა ოსური ყველი ოთხ აბაზათ ფასობს).

ხაშურისა და სურამის რაიონიც განიცდის სასიძოების კრიზისს. ხაშურში 1000 სული, სურამში 600 სული, გარშემო სოფლებში 10000 სული გასათხოვარია. თუმცა აქ ამ საკითხს ისეთი მწვავე ხასიათი არ მიუღია, როგორც გორში. აქ ყველას იმედი აქვს ღმერთი ჩამოუგდებს ან „სუდენტს“, ან „პრაპორჩიკს“.

რომ იცოდეთ, როგორ მეძნელება დისკანტით ლაპარაკი! მაგრამ, მეტი გზა არ არის! თუ არ მინდა, რომ ძალით რამდენიმე ათეული ცოლი შევიძინო—ქალის ტანსაცმელი უნდა მეცვას, დღეში ორჯერ ვიპარსავდე წვერ-ულვაშს და დისკანტით ვილაპარაკო...

დასასრულ ავიარე ბორჯომის ხეობაში. იქ ჯერ სრულებით არ უგრძვნიათ სასიძოთა ნაკლებობა. გასათხოვართა რიცხვი ჩვეულებრივია. წარმოიდგინეთ, ქალებს, მზითევიც ბევრი არაფერი აქვთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც სახლში არ ურჩებათ მშობლებს გაუთხოვრათ. ეს ამბავი გაუგიათ გორში და ამიტომ მოსალოდნელია რამოდენიმე ათას გორელ გასათხოვარ ქალთა თავდასხმა და სასიძოების მოტაცება. ამ უბედურების თავიდან ასაცდენათ ზომები მიღებულია. გაამაგრეს ტაშისკარისა და სარმანიშვილის კარის რაიონი და ჰყრიან ბაკურიანის რკინის გზას. უკანასკნელ გზას ანადგურებენ, რათა ზურგი გამაგრებული ჰქონდეთ და არ შეიძლებოდეს შემოვლა...

თფილისისაკენ გამობრუნებისას მოულოდნელი ხიფათი შემემთხვა. რადგან ჩემი მისია დავასრულე და ამიტომ საშიში აღარ იყო, რომ ქალებს ჩემზე იერიში მოეტანათ, გავიძრე ქალის ტანსაცმელი და ჩავიცვი კაცისა. მაგრამ, რაღაც ეშმაკად, გორის სადგურზე ვაგონის ფანჯრიდან თავი გამოვყავ. დამინახეს. წამსვე გამომათრიეს და ხელდახელ გადამწერეს ჯვარი ოთხ ქალზე! ერთსა ჰქვიან მაშო, მეორეს სონა, მესამეს თებრო და მეოთხეს—კეკელა.

მაშო ოცი წლისაა, მშ . კათ აქვს ატენში მამულები და გორში ორ სართულიანი სახლი, სონას ათასი თუმანი ნაღდი ფული აქვს, გარეგნობითაც არა უშავს-რა. თებრო გონჯია, არც არაფერი მზითვად აქვს. კეკელა ლამაზია მხოლოდ ოცდა ათი წლისაა და მზითვად ხუთი ბალიშისა და ერთი ცარიელი სკივრის მეტი არა გააჩნია-რა.

შევეწირე ზვარაკად პრესსას!

გუგული.

---

*) ქუთაისიდან შეიძლება დაბარება ბ-ნი ბარკალაიასი, თუ იქაურები დასთმობენ.

ასოთ-ამწ.

ვიკავებ მარა!

(სცენა)

ბლახა თვალი არ მეიბრუნებოდა ჩემი ეზოს-
ენ, სავსე ვიყავი კაცით-კაცობით; ჯალაბით-მეზო-
ლობით, მტრითა და მოყვრით, სახლითა და ბოს-
ითი. იმე, ცაზე ხელი მეკიდებოდა. სილარიბე
ვალ წინ რავა წარმოიდგებოდა. სხვებს ქე უქებთ
როლეტარობას, მარა ჩემთვის, რომ ვინმეს შეე-
ამებია მაგი, გულში გევიწურებოდი, მარა მაინც
უმათ ვიყავი. აი „ჩუმა“ კი გოუჩოეს ჩემი ცოდ-
ით, ჩემი კერიის გამომფხეკავს. არა, ძალიან ცუდ
როს კი მოვესწარი მაინც. პეტერე ახალგაზრდა
ომ ვყოფილიყავი და ამისთანა ამბებს გეერბინა
ემს წინ, მართალია პლასიონებში არ ვყოფილვარ,
რა რაცხას მეც ქე ვისწავლიდი. ამ დროულ
ცს გაზეთში ათჯერ არ ჩამიხედავს და ახლა კაი
ლასიონივით ვკირკიტობ შიდ. სწორეთ ზოგ
ეტენტზე ბევრათ უკეთესი ვიქნებოდი, რომ სხვა
რო იყოს და ის გემნაზიის კარების საბუთი, რომ
ი იყოს საჭირო. ჰო ასეა, მარა ი გრიგოლაი,
ომ არის ჩვენი საჯ(ა)ოხე(ლი), აი ის თფილისში,
ომ დაყიალობს სასტიპენდიოთ იმას არც ახლა
მოუვარდები, მარა სად მცალია ამდონი ბატონო!
ლანე არ მოგახსენეთ, ოჯახი მქონდა, მარა რა
ჯახი, ახლა კაცი სახლიდან გამცალეს. ერთი
ვილი თანთარისკენაა და ისე წერილს არ მეიწე-
ება, არ იკვნესებოდეს საცოდავი, მეორე კოდომ
ის ახლოსაა. ორი თოფ-ქვეშ დგას: ახლა ასწავ-
ლიან ნიშნობიას და საცაა იმათაც იქით უკრავენ
ავს. იმე ერთი რავა არ მეკუთვნოდა ამდონის
მზდელს? ქალები, ბაღნები და ეგი ორი მოხუ-
ებული ამ დროულ კაცს შემომჩერებიან ხელ-
ი, მეც მე უბედური ქე ვარ, ვარ კი არა ვმა-
ობ ჯერ-ჯერობით, უვლი ოჯახს, ქალს ბაღანას.
ას ვაწვდი მტერს და მოყვარეს. მყავს ღორი და
ოჭი; ინდოური და ბატი; ქათამი და კვატი; ჯახ-
ოკე და ძროხა, ძაღლი და კატა. იმე ძაღლი, მა-
ა რა ძაღლი. იმისთანა ჯიშის ღორი, რომ მყო-
ოდა ჩემ ბედს ძაღლი არ დაყეფდა: გეიარს ცხრა
ირე ჩემო ბატონო და გამოაგორებს ცამეტ ლეკვს
ისთანა დათითქვინებულს რომ, და-და და-და...
ინი, რომ გოქები ყოფილიყო აბა მაშინ ვიქნე-
ოდი ბედნიერი კაცი. ახლა კიდო ძუძუებს არ
იკითხავთ? რომ ჩამოაწყობს ამ ცამეტ ძუძუს, რომ
ტყვილი არ გამომივიდეს თქვენთან, ორ ორი ჩა-
რეკა რძე კი იქნება შიგ. ყველაფერი კი გამოუკვ-
ლევიათ ამ ოჯახ აშენებულებს და ნეტაი იგიც
გამეეკვლიათ; იქნება ქე დეეწყო ვინმეს მისი ჭამა
და ჩემსას სულ ხსნილი იქნებოდა. იმე საძრახისი
კი არაა ბატონო, გაჭირდა საქმე! სიმშილობაც
კარზე მომადგა: მღვდელი არ მზოგავს და ბერი,
მამასახლისი და მგელი, ვიკავებ ჯერ კიდე ქე ვი-
კავებ, მარა ისეე გლახათ-კი ვატყობ საქმეს, რომ
ისინი ომში გაწყდებიან და მე ათასი რომ ვიკავო
მაინც გლახა საქმე მომელის და გაპლორეტარებაც
ა, კარზეა მომდგარი...

ა. ხაბულიანი.

ჩარჩთა ჩემპიონი

(კახეთისათვის)

მკითხველო, კახეთს ბევრი ჰყავს
გამოჩენილი ჩარჩები,
მაგრამ გაიცნობ ჩვენ „კუს“ და
გაკვირვებული დარჩები.
ეს „კუი“ გახლავთ რიყში*)
ფარჩით მოვაჭრე ვაჭარი,
რომლის წყალობით კახეთში
ბევრს აუოხრდა სახლ-კარი.
„კუისებრ“ დახელოვნებულს
სხვას ვერა ნახავთ მგონია.
ღმერთს გეფიცებით, რომ იგი
ჩარჩების ჩემპიონია.
თუ არა გჯერათ, მისმინეთ
მოგიყვეთ მაგალითებსა,
(ამის გამგონე, ყურებზე
ნუ მიიფარებთ თითებსა):
უშაბათამან-გოგირდოთ
კახეთი სულს რომ ლაფავდა,
ეს „კუი“ თურმე ამ წამალს
სარდაფში შეინახავდა;
და როცა კახეთს წამალი
მთლიანად გაშოელია,
და განიცდიდა დიდ საფრთხეს
მთელი ალაზნის ველია,

*) თფილისშია.

„კუმა“ გამოჰყო ფეხები:
„მსურს აგაცდინოთ ჭირიო,
მოგყიდით შაბსა და გოგირს,
თუმც ფასები აქვს ძვირიო“.
და ასე, ზღაპრულ ფასებში
ჰყიდა ულმერთოთ წამალი,
და გაასწორა მიწასთან
გლეხი, ისედაც საწყალი.
რადგანაც ფასის აწევა
მას ვერ უკლავდა სურვილსა:
შაბში ქვას გამოურევდა
და გოგირდს ქატოს თუ ფქვილსა.

მეხი.

ჭიათურა

(კასპარ თოფალიანცის საგენტო).

მოხდა ყრილობა, სადაც დაწვრილებით განხილულ და აღნუსხულ იქმნა ცნობილ ჩარჩ ვაჭარ მიხა ლომაძის მოღვაწეობა და მისი ხალხისადმი გულშემატკივრობა. აღმოჩნდა, რომ ბ. მიხა, მთელ ომის განმავლობაში არ ზოგავდა ენერგიას და ხვრელ-სარდაფებში თავისი ხელით აწყობდა და უნახავდა საზოგადოებას: საპონს, შაქარს, ფქვილს და და ათასგვარ საჭირო ნივთებს, რათა ომის შემდეგ ჩამოვარდნილ კრიზის-უმუშევრობის დროს დაეკმაყოფილებინა ხელმოკლე საზოგადოება. მართალია, ხან და ხან, ღამის ორ საათზე მეპურეები არ ასვენებდენ და თითო ცალს ფქვილს ძალის ძალათ გამოაძვრენიებდენ ხოლმე ხვრელიდან, მაგრამ მოგეხსენებათ თავაზიანი კაცის ბუნება, თუ როგორი სათუთი და ჩვილია. მიხაც თავის გულჩვილობით და თავაზიანობით სტყუვდებოდა და მართალია გაჭირვებულ ხალხისადმი დაგროვილ საჭირო საგნებს აკლებდა, მაგრამ ხალხი მას არასოდეს არ ავიწყდებოდა, თავისი თავაზიანობით იქამდისაც კი მივიდა, რომ ამ საერთო სიძვირის დროს თავზე იკლებდა და ერთ ტომარ ფქვილზე 30 მანეთის მეტს არ იღებდა! ისიც იმისთანა დროს, როდესაც ჭიათურაში ქატოს ჭამდა საზოგადოება პურის ნაცვლად. მიიღო რა კრებამ სახეში, მისი ასეთი ხალხისადმი გულშემატკივრობა დაადგინა შემდეგი: „ხალხის გულშემატკივარ, მიხა ლომიძის დუქნის წინ აღმართულ იქმნას მარმალილოს ძეგლი შემდეგის წარწერით:

ესე ძეგლი, სიცოცხლეში,
აღუმართეთ დიდ მიხეილს,
ხალხის მოსარჩლ-მოამაგეს
„პატიოსან, ქორფა-ჯეილს“.

ეს წარწერა და ქვაზე ჩუქურთმის ამოღებ
კრებამ დაავალა ცნობილ მხატვარ მოქანდაკეს და
თა ლაბაძეს, რათა მან არ დაზოგოს თავისი ენერ
გია და ის ღირს შესანიშნავი ასოთ სტილი სტ
ფან უგულავას „ვივესკისა„, რომელიც მის მადლია
ხელს ეკუთვნის, უსათუოდ გადმოღებულ იქმნას
ძეგლზედაც. დასასრულ კრებამ დიდი მადლობ
გადაუხადა დიდათ პატივცემულ ლომაძეს ასეთ
ხალხის ერთგულობისათვის და უბოძა ჭიათურ
საზოგადოების საპატიო წევრის ხარისხი. როგორ
მოსალოდნელი იყო ხალხის მოჭირნახულესაგა
მიხამაც თავისი მხრით გადასცა კრებას ღარიბ
შორის დასარიგებლათ „ობისკის“ დროს აღმოჩ
ნილი 21 ყუთი საპონი, რამდენიმე ათეული ტ
მარა ფქვილი პირველი ხარისხისა და სხვა მრავალ
საქონელი. კრებამ ვაშას ძახილით და ხელში აყ
ნილი მიაცილა თავის მადლიანამდე ჩვენი დიდებულ
ხალხის მოსარჩლე მიხეილ ესტატიჩ ლომაძე.

გოგია.

დეპეშები.

(განმანაწ. ბუნკტი)

ნავთლული. „საინოების და“ კუნტრუშა
ორი პრიზი მიიღო: ერთი სირბილში და მეო
კრივში.

იქიდანვე. „დების“ საერთო საცხოვრებელ
მაჯლაჯუნები გახშირდენ. ძალიან გადაემტერ
კოლონაშვილს, ხშირად გაიტაცებენ ხოლმე, მ
რამ საბედნიეროთ უვნებლათ ბრუნდება.

იქიდანვე. საოჯახო ნაწილის გამგე ლაზარ
თისა შ. კ—ტ-ვი დიდი ხანია სანოვაგის რეკვი
ციას აწარმოებს, მაგრამ ბოლო დროს ძალი
გაბარბაროსდა: ყველი აღკვეთა ხმარებიდან, (გ
და ექიმებისა და ეკონომიის მოსამსახურეთა) ამბ
ბენ, ხორცსაც იგივე დღე მოელისო.

იქიდანვე. ახალგაზრდა ექიმი, გამგე პუნქ
ამბულატორიისა, ენერგიული მუშა გამოდგა.
როტი ენები ჰაერს სწამლავენ „ჭორებით“, მაგ
ეს „შურის“ ნაყოფია, რაც შეეხება მიხდომ
წამლობას, ეს იქიდან სჩანს, რომ ფერმკრთა

პაციენტკები რჩევა-გაშინჯვის შემდეგ ვარდისფერი ლოყებით გამოდიან.

ჯიმშერ.

—

რკინის გზის მთავარი სახელოსნო. ჩვენი ექიმი ოტპუსკს მაშინ აძლევს დასუსტებულ მუშას, თუ იგი, (მუშა) თან მღვდელსა და მგალობელთა გუნდს გაიყოლებს.

— უკვე განიკურნა კუჭის ავათმყოფობისაგან უმაღლესი ბრიგადირი. ამბობენ კუჭი ბ-ნ პ—ას მიერ მირთმეულ ცხვრის ხორცმა დაუზიანაო. რას იზამთ: „ნაჩუქარ ცხვარს კბილი არ გაესინჯება“.

—

ოზურგეთი. ბოქაულის განკარგულებამ საეჭროთა დაკეტვის შესახებ ვაჭრები ძლიერ აღელვა. მანიფესტაციას ხელმძღვანელობდა გიორგი ჯინჭარ-ოღლი. გაემართენ მოედნისაკენ რევოლიუციონური სიმღერით: „ჩვენ მსხვერპლი გავხდით თავხედ ნოქრების“...

—

ჭიათურა. კიტა აბაშიძე უარჰყოფს ხმებს, თითქოს საბჭომ შეკავშირებულ მუშათა ძალას დაუთმო საბჭოს მოსამსახურეთა მოთხოვნილების საქმეში. „პირიქით, მათი მოთხოვნილების ამგვარათ დაკმაყოფილება საბჭომ ჯერ კიდევ მარტში დაადგინა და თუ ეს დად[illegible]ილება მე დღემდე დაუმალე მოსამსახურეებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სასიხარულო ამბის ჩქარა თქმით მეშინოდა ზიანი რამე არ მოსვლოდათო. ამას მავალებდა მე ჩემი მამობრივი მზრუნველობაო“.

იქიდანვე. თანდათან ირკვევა ცნობილ მამულიშვილ-სოციალისტის რ. ანჯაფარიძის ფარული ...ზრები სარეცხი ქარხნის მიყრუებულ ადგილზე ხაარსების შესახებ: ამით თურმე მას აზრათ ქონია ...ვის მუშები დაეფარა ანტისოციალისტური ელე...ენტების გავლენისაგან, რომ მათ კერძო საკუთ...ების ინსტიქტი არ განვითარებოდათ და ამის გა...ო ხელფასის მომატება არ მოეთხოვათ.

იქიდანვე. ინტრიგონე ჩივანაშვილის ავადმყო...ობა უცვლელია. გამოწერილი ექიმი ლაყბაძე ...ვიდა და შეუდგა მოვალეობის ასრულებას. მისი ...ზრით ადგილობრივ ექიმებს სავსებით ვერ გამოკვლევიათ ავათმყოფობის მიზეზები. მთავარი მი...ეზი მუშათა გაზეთის მკითხველთა და შემომწირ...ლთა პროგრესიული ზრდა არისო. წუხელ თურ... ავადმყოფს ნაწყვეტ-ნაწყვეტ აბოდებდა: „ამდენი თბილი სიტყვები... ამდენი ფულები... ოხ, წყეულიმც იყავით თქვენი მისალმებებითა და კაპეიკებით... ახ, ერთი რამ თილისმა მომცა, რომ ერთი თითი გავაქნიო და სტოპ: შეწყდეს სალამიცა და წვლილიც... დავადუმო მათი ენა და ჯიბეც... მაგრამ არა... ვერ შევსძლებ... შეუგნებლებია, მაგათი... და ასე. ექიმს ავათმყოფის ბალიშ ქვეშ გაზეთიდან ასეთი ადგილების ამოჭრილი ნაგლეჯებიც უნახავს.

ისემცრაგითხრა.

—

თელავი. რიყისაგან დაზარალებულ ოჯახთ, ცნობილმა ქველ-მოქმედმა გრაფინია პოზიევისამ დახმარება აღმოუჩინა „ჩაშკა ჩაით“.

— შეერთებულის ძალით ბ. კარბელაშვილმა და ავალიშვილმა იერიში მიიტანეს უპატრონოთ დარჩენილ ამხანაგობაზე. ჯერ-ჯერობით დანაკლისი ერთი ქალია, რომლის ადგილიც წამსვე შევსებულ იქმნა სევდიათი. დანარჩენი მოსამსახურენი პოზიციებს ამაგრებენ.

— ერთგული შრომისთვის, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ადგილიდან გადაყენებულ იქმნენ: სულხანიშვილი, შავლიევი და ქიკაძე მუნდირის ტარების ნებით.

— თუ ბოროტ ენებს დავუჯერებთ, განზრახულია თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელი პრაპორჩიკების სკოლაში გადაიტანონ. მიზანი გამოურკვეველია.

— თელაველი ექიმები საჯაროთ აცხადებენ, რომ ქათმებისა და კვერცხის დაძვირების გამო შალაურელ და კურდღელაურელ ქალ პაციენტკებზე ნიხრი აწეულია.

— რადგან თელავის ამხანაგობამ ლუკაშვილი შაბიამანითურთ დაჰკარგა და გაგზავნილ მეძებრის კვალიც არსად სჩანს ამხანაგობა ძაძით შეიმოსა.

თელაველი.

—

ქ. არმავირი. 33 ამათვეს, 14 საათზე და 63 წუთზე ღვინით მოვაჭრე ბ-ნ ჯ-ძის „პადვლის“ დარბაზში შესდგა ადგილობრივი დრამატიული სექციის ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრებას თამადობდა ბ-ნი დაბახბ. დიდი თათბირის შემდეგ სექციამ ჰიქების ყრით აირჩია გამგეობა 21 კაცისაგან შემდგარი. კრებას დაესწრო სულ 8 კაცი. დიდი კამათი გამოიწვია მერიქიპის ამორჩევამ. დიდი შეხლა შემოხლის და „ბუთულკების“ გაცარიე-

ლების შემდეგ ეს ხელობა ებოძა მელვინე ივანეს და დაევალა: რაც კი შეიძლება სისტემატიურათ მართონ წარმოდგენები „პადვლებში“, რასაც გამგეობა ენერგიულათ ასრულებს.

ხარჯი წ.-კ. გ. საზ. უნდა გადაიხადოს საზოგადოების კასიდან.

დროშა.

—

ხაშური. შესდგა „მანდილოსანი“-ს განყოფილების დამაარსებელთა კრება. მანდილოსნებმა აღთქმა დასდეს: ყველაფერში მიჰბაძონ თავის მთავარ საზოგადოებას გორისას. ინტრიგა უკვე დაიწყო და ჩხუბსაც დღე დღეზე მოველით.

ვარდენიშვილი.

—

ბუტუნას სსგენტო.

(სასულიერო უწყების განყოფილებიდან.).

აბაშის რაიონი. ს. ონტოფოს სულიერმა მამამ, ერმილემ, სამრევლო სკოლის ანექსია გამოაცხადა. გააძევა იქიდან ყოფილი მასწავლებელი და მის ადგილზე თავისი „გურაფილი“ შვილი დააყენა, ხოლო სამღვთო რჯულის მასწავლებლობა თავის განკარგულებაში დასტოვა. უკმაყოფილო მრევლი სამინისტრო სკოლას ითხოვდა, მარა „პრიგოვორი“, რომელზედაც მამა ერმილემ ხელი მოაწერია სოფელს, აღმოჩნდა სამრევლო სკოლაზე. მეორე მასწავლებლის მომატების სოფლის ხარჯზე და ეს მასწავლებელი მამა ერმილეს ნათესავი, ერმილეს ოჯახში მცხოვრები და მისივე ოჯახის შამოსავლის წყარო. გაბრაზებულმა მრევლმა ვექილი დაიქირავა და მოძღვარს ყალბი „პრიგოვორის“ შედგენა უჩივლა. ერმილემ მოიმასქნა მრევლის „ატუკანტი“ და აიცდინა სასჯელი, ხოლო მთავრობისაგან ნებადართული სამინისტრო სკოლა მწვანე მაუდის ქვეშ მოათავსა. მოთმინებიდან გამოსულმა მრევლმა ყოველივე ეს ეფისკოპოზს მოახსენა, მარა მამა ერმილემ ეფისკოპოზიც „არწმუნა“ თავის „სათნოებასა“ და მრევლის გაურჯულოებაში. იმედ დაკარგულმა მრევლმა მოწაფეები არ გაუშვეს ერმილეს შკოლაში, მარა მამა ერმილემ გამომძიებელი „არწმუნა“ „სოფელში სახადი მძვინვარებს და მოწაფეები მე დავითხოვეო“, ხოლო გამცდარი წლის სასკოლო ხარჯები მათრახებით ასწაპნა მრევლს ზურგიდან. თავ-განწირულმა მრევლმა მასწავლებელ ბოკერიას სარდლობით ომი გამოუცხადა მამა ერმილეს, ხოლო ერმილემ 24 საათში მობილიზაცია უყო ... ვის ჯარს ნათლიმამებისა და ნათლიდედებისაგ... შემდგარს და თავს დაესხა მასწავლებლის არმი... ბრძოლა ნამდვილი „სედანის“ განმეორება იყო 101 დღე და ღამეს გასტანა. გამოირკვა, რომ ... მილეს დაზვერვის საქმე ჩინებულათ მოეწყო ... ყველა სიმაგრეების მიგნება და აფეთქება შესძლ... ტყვე ონტოფოელები სულს ღაფავენ მამა ერმილ... დიქტატურის ქვეშ, რომელმაც ყველა დაწესებ... ლებაში თავის მოხელეები ჩააყენა, თავისი დინ... ტიის განსამტკიცებლათ. დამორჩილებულმა მრევ... ამის გამო მამა ერმილეს **„ეშმაკის მოციქულ...** უწოდა მეტ სახელათ, ხოლო ჩვენი მოხელის „მხიფავის“ განკარგულებით,

ყოველივე მის წინააღმდეგ ... რული ბრალლდება დღეიდან წარედგინება რად... აპარატ „გონვედის“ გამგე ბ-ნ „მხიფავს“ და ... ძველებურათ საეპარქიო კანცელარიას, სადაც ... ერმილეს შველოდა თავისი ნათლიმამები. მომ... ნებს შეუძლია მიიქცენ შემდეგი მისამართით: **ჭვეთი.** სასულიერო უწყების გამგე ბ-ნი **მხიფა...**



გიორგი ლიმთათიძეს. თანახმად თქვენი ... რილისა მივმართეთ „თეატრი და ცხოვრებ... რედ. ბ-ნ ი. იმედაშვილს, გადმოეცა ჩვენთ... თქვენი რვეული. ბ-ნმა ი. იმედაშვილმა შემოგ... თვალა: „ჯერ მე ამოვარჩევ შიგ დასაბეჭდ მასალ... და შემდეგ გადმოგცემთო“. ამგვარად: ვინაი... ჩვენი სურვილი იყო თქვენი შრომა დაბეჭდილი... და ბეჭდვას კისრულობს ჟურ. „თეატრი და ცხ... რება“, რომ დანაწილება არ მოხდეს ნება გვიბ... ძეთ ჩვენს სახელზე მოსული მასალა გადავს... ზემოაღნიშნულ რედაქციას.

ველით პასუხს.

ახირებული მდგომარეობა

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ლამის ყარაულს თან ძაღლი დაჰყავს. ძაღლის დანიშნულებაა დარაჯი არ დააძინოს, ამიტომ ჯამაგირიც მეტი ეძლევა.

ამ წინაზე, ერთ ამგვარ ზედამხედველ ძაღლს დაეძინა. დარაჯმა გაღვიძება ვერ გაუბედა და ვიდაკამ რკინის გზის რაიონიდან სამი ნაფოტი მოიპარა.

დაიბადა საკითხი: ვის უნდა გამოექვითოს ჯამაგირში ნაფოტის ფასი?

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-კამომც. თ. ბოლქვაძე.